

ტრენინგი¹:

ქვევით მოცემულია უკუშედების მქონე გზავნილების სხვადასხვა მაგალითი. ერთი კვირის განმავლობაში, ყოველდღიურად, აწარმოეთ დაკვირვება თქვენს კომუნიკაციასთან დაკავშირებულ ჩვევებზე. ყოველ ჯერზე, როდესაც ერთ-ერთ ამ გზავნილს გამოიყენებთ, დაიტანეთ აღნიშვნა მის გვერდზე.

ბრძანება, მითითება

- შენ უნდა...
- მოემზადე...
- უთხარი „გამარჯობა“...
- კარგად მოიქეცი...

დატუქსვა, საყვედური, მუქარა

- ყოველთვის ასე იქცევი...
- არასდროს არ აკეთებ...
- თუ ასე არ მოიქცევი... მაშინ...
- ბოლოსდაბოლოს როდის...
- რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ...

მორალის კითხვა

- შენით ვიამაყებდი, მაგრამ ახლა იმედგაცრუებული ვარ, რადგან შენ არ....
- დედა ცუდ ხასიათზეა, რადგან შენ ასეთი გაუგონარი ხარ.
- იცი რამდენი მშვიერი ბავშვია, რომელიც ამ საჭმელს ნატრობს?
- ერთხელ თუ მოიტყუე, ე.ი. მატყუარა ხარ...

რჩევის მიცემა და შედარება

- შენს ადგილას რომ ვიყო, ასე მოვიქცეოდი...
- სხვა ბავშვების მშობლები იცი რას მოიმოქმედებდნენ...
- შენი და ყოველთვის ალაგებს საკუთარ ოთახს.
- ეს ყველასთვის ნათელია, შენ კი...